№ 257. ნოემბრის 29, ხუთშაბათი. 1866—1884 ნოემბრის 29, ხუთშაბათი. № 257.

დროება

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

,,დროებაზედ''

1885 წლისათვის

თბილისში—„დროების“ რედაქციაში; ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში—მოსე ნათაძესთან; თელავში—ვანო როსტომაშვილთან; გორში—ალალო თუთაევთან.

დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

ქართული თეატრი

პარასკევს, ნოემბრის 30-ს ქართულის დრამატიული დასის არტისტკების და არტისტების მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

ბიძიასთან გამოხუმრება

ხუმრობა ვოდევილი 1 მოქმ.

II

პირველი მოქმედება კომედიიდამ:

ხანუმა

III

მეორე მოქმედება კომედიიდამ:

ჟოზეფ, პარიჟელი ბიჭი

IV

მესამე მოქმედება დრამიდამ:

არსენა

V

დივერტისმენტი

ბ. მამიკონიანი—თარს დაუკრავს, ნ. გაბუნია-ცაგარლისა—იმღერებს ქართულ ხმებს, ხალხურ სიმღერებს—ასრულებს ხორო, ქ. ანდრონიკოვისა და ს. ცხაკაია—ითამაშებენ ლეკურს, ა. მოხევე ითამაშებს—ჩაჩნურს. ქალაქელი კინტოების ლეკურს ასრულებენ: დ. აწყურელი, ნ. ლიახველი, დ. დავითაშვილი, ა. ჩუბინიძე და სხვ.

ადგილების ფასი მომატებულია.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე.

ბილეთები იყიდება რიშარის მაღაზიაში, ოლღის სასამართ. ქვეშ, და წარმოდგენის დღეს თეატრის კასაში.

THÉATRE GÉORGIEN

(ci-devant Arzrouni)

Vendredi, 30 novembre,

Représentation extraordinaire

donnée par tous les artistes de la

TROUPE GÉORGIENNE.

On peut se procurer des billets pour cette représentation chez M. Richard, Golovinsky prospect.

Les personnes qui ont pris des billets pour cette représentation sont priées de vouloir bien retirer leurs coupons chez Richard.

Jeudi, 29 Novembre, de midi à 6 heurev du voir. Passé ce delain, la direction disposera de leurs places.

შინაური ქრონიკა

═ მაშინ, როცა თითქმის ყველგან სამდურავი ისმის სოფლის მოხელეებზე და განსაკუთრებით მამასახლისების შეუფერებელსა და შეუსაბამო ქცევაზე, არიან ისეთი სოფლებიც, რომელთაც შეუძლიანთ თამამად სთქვან, რომ მათნი უფროსნი სრულიად არა ჰგვანან სხვათა თანამოსამსახურე და თანა-მოხელე პირთა. ამ გვარი სოფელთაგანი ყოფილა სხვათა-შორის ველის-ციხეც. ველისციხეს ჰყოლია ისეთი მამასახლისი, რომელიც სრულიად განსაკუთრებულს ტიპს წარმოადგენს სოფლის მოხელისას. ეს მამასახლისი, როგორც გვწერენ, მუდამ სოფლის სიკეთეზე ზრუნავს და მისის მეცადინეობით ბევრი კარგი სასოფლო საქმე გაკეთებულა: სოფელს სუფთა ქუჩები აქვს, ფარნებით შემკული, სკოლა, აფთიაქი, ჰყავს საკუთარი ფერშალი და ბებიაო.

მთავარ-მმართებელს თავის ყოფნის დროს ამ სოფელში, დაუჯილდოვებია ეს სოფლის ერთგული კაცი ოქროს მედლით.

,,დღეს, ამ თვის 18, გვწერს კორესპონდენტი, აქ იყო საზოგადო ყრილობა, რომელზედაც სოფლის საზოგადოებამ შეადგინა განაჩენი იმის შესახებ, რომ მთავრობამ ნება დართოს მას ოქროს მეწკვი გააკეთებინოს მამასახლისთვის უბრალო თითბრის ჯაჭვის მაგიერ გულზე მენდლის სატარებლად''.

,,როგორც შევიტყე, ამბობს ბოლოს კორესპონდენტი, ამ სოფელში დეპოსა და სასოფლო ბანკის დაარსებასაც აპირობენ''.

═ გუშინდელს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ფელეტონი ბ. მურიესი, რომელიც მთლად შეეხება ,,ვეფხვის-ტყაოსანს''. ეს ფელეტონი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ბ. მურიემ გადიკითხა თავით ბოლომდე ფრანცუზული თარგმანი პოემისა. თარგმანი, როგორც ჩვენ მკითხველებს უნდა ახსოვდეთ, ეკუთვნის ბ. ი. მეუნარგიას, რომელმაც მხოლოდ ამ დღეებში დაამთავრა ეს საკმაოდ უხალისო, მაგრამ დიდად სასარგებლო შრომა. მთელი პოემა აქამომდე არც ერთს ენაზე არ იყო გადათარგმნილი და ი. მეუნარგიას შრომამ მისცემს შეძლებას ევროპიელ მსწავლულთ, გაიცნონ შესანიშნავი ქმნილება ძველის აღმოსავლეთის მწერლობისა და დააფასონ იგი მიუდგომ-

«დროების» ფელეტონი, ნოემ. 29-ს

ოტელლო

(დასასრული *)

ერთხელ მოხდა ისე, რომ, როცა ოტელლო და იაგო ოთახში შედიოდენ დესდემონასთან, კასსიო, ოტელლოსთან შერიგებაზე დესდემონასაგან დაიმედებული, მეორე კარებში გადიოდა. იაგოს ახლა მიეცა შემთხვევა შესდგომოდა ზემოხსენებულ პირთა განადგურების საქმეს! იაგო ამისთანებში გაქნილი ბრძანდებოდა. „მე! ეგ კი არ მომწონსო!“ სთქვა იაგომ, როცა კასსიო მიმავალი შენიშნა და ამ სიტყვებით მოსწამლა კასსიოც, დესდემონაც და ოტელლოც. დესდემონასთან საუბრით გართობილმა ოტელლომ იმ წამს დიდი ყურადღება არ მიაქცია იაგოს ნასროლ შხამს, მაგრამ მერმე მოწამლული ლახვარივით ესობოდა მას გულში იაგოსაგან ნასროლი ისარი. გავიდა თუ არა დესდემონა, იაგომ თავის სიტყვების განსამარტებლად ჰკითხა ოტელლოს:

— თქვენს დაქორწინებამდის იცოდა კასსიომ, რომ თქვენს შორის სიყვარული იყო ჩამოვარდნილი?

— როგორ არა, უპასუხა ოტელლომ და თანაც დასძინა:—კასსიო ძლიერ მეხმარებოდა მაშინ, შუამავლობდა ჩემსა და დესდემონას შორის და მისი სურვილი ის იყო, რომ სასძლოს გული ჩემსკენ მობრუნებულიყო.

იაგომ წარბები შეათამაშა და ერთი ისეთი შეჰყვირა «განაო», რომ თითქო რაღაც საშინელება აღმოაჩინაო. ამ წამოსროლილმა „განამ“ გაახსენა ოტელლოს იაგოს გესლიანი სიტყვები, რომელნიც მაშინ იყვნენ ნათქვამნი, როცა კასსიო დესდემონას ოთახიდამ გამომავალი ნახეს. ოტელლომ აილო ეჭვი და იფიქრა, რომ აქ რაღაც მისთვის მავნებელი საიდუმლო იფარებოდა. იაგო პატიოსან და სანდო პირად მიაჩნდა და ამიტომაც სთხოვა, რომ გასტყდომოდა და, რაც კი ამ საეჭვო საქმეს შეეხებოდა, თუნდა საზიზღარიც ყოფილიყო, არ დაეფარა. «დაუფარავად მოგახსენოთ ყველაფერი გენერალო? ჰკითხა იაგომ. მეშინიან, ვაი, თუ ჩემი ფიქრი საზიზღარი გამოდგეს? განა არის ქვეყანაზედ ისეთი კუნჭული, სადაც ზიზღი თავისას არ ჩადიოდეს?» ამ კითხვებს დართო შემდეგი: «ჩემთვის ძლიერ სამწუხარო იქნება, რომ ჩემმა ეჭვმა თქვენი ტკბილი ცხოვრება აამღვრიოს, ამისთვის უმჯობესია, არ გაიგოთ ჩემი ეჭვები; მოგეხსენებათ, რომ კეთილი და შეუბღალავი სახელი ისეთი საუნჯეა, რომლის შერყევაც უბრალო ეჭვების გამო დიდი უსამართლობა იქმნება. როცა ამ ბნელმა და ორ-აზროვანმა სიტყვებმა ოტელლოს უფრო-და-უფრო აღუძრეს ცნობის-მოყვარეობა, იაგომ გაფრთხილება დაუწყო გენერალს, ცოლზე ეჭვი არ აიღოვო. მე კარგად ვიციო, სთქვა ოტელლომ, რომ ჩემი ცოლი ლამაზია, უყვარს ლხინი, საზოგადოება, მოსწონს ხუმრობა, იმღერის, ცეკვავს, და თუ მას გული კეთილი აქვს, ყველა ეს ზემოხსენებული გარემოება უფრო-და-უფრო უნდა აკეთილშობილებდეს მას; მე უნდა მქონდეს მტკიცე და სარწმუნო მიზეზი, რომ იგი უპატიოსნოდ შევრაცხოვო. იაგოს თითქო გაეხარდა, რომ გენერალი ეგრე ჩქარა ეჭვში არ შევიდა და მოახსენა: «მეც არა მაქვს ბევრი დასამტკიცებელი ფაქტები, მაგრამ გირჩევთ კი თვალი ადევნოთ დესდემონას, როცა კასსიო მასთან მუსაიფობდესო; მეტის-მეტი ეჭვიანობაც არ ვარგა, მაგრამ გადამეტებული დანდობაც ძნელიაო. უთხრა, რომ მან უფრო კარგად იცის თავისი მიწა-წყლის შვილთა-ქალების ხასიათი, ვიდრე ცხრა მთა გადალახულმა გენერალმა. აქაური ქალები, ზევით ღმერთს თუ განუცხადებენ იმას, რასაც ქმარს არასოდეს არ ეტყვიან, ჭოჭმანითა სთქვა იაგომ; ამასაც გეტყვით, გენერალო, რომ დესდემონამ თავისი მამა ისე მოატყუა, თითქო თქვენს საქმეში ეშმაკი ერია, თითქო ჯადოთი იყო მოხიბლული და თავის უნებურად მოუხდა თქვენთან გამგზავრებაო. ამით უფრო დაეჭვიანდა ოტელლო. თუ მამის მოტყუება შესძლო დესდემონამ, ქმრის მოტყუებაც არ გაუჭირდებოდაო“, იფიქრა მან. იაგოსაც გაეხსნა ახლა, რადგანაც ოტელლოს რწმენა უკვე შეარყია, მაგრამ პირში ფერობით ბოდიშს ითხოვდა: «ვაი, თუ რამე გეწყინა, გენერალოვო». ოტელლო უფრო გაცხარდა; თუ რამე შეიტყე, ნუღარ მიმალავო. იაგო ვითომც ჯერ უარზე იდგა: არ მინდა ჩემს მეგობარს კასსიოს რამე ევნოსო. მაგრამ როცა გენერალი სრულიად დააჯერა, მერმე დაურიდებლივ მოახსენა შემდეგი: «გენერალო, პირველად თქვენს ყურადღებას მივაქცევ იმ გარემოებას, რომ დესდემონამ უარ-ჰყო ყველა თავისი მიწის-შვილი და გაჰყვა მავრს (შენ). ეგ იმითი აიხსნება, რომ მას ჰქონდა გარყვნილი ბუნება, რომელიც მხოლოდ პირუტყვულის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას თხოულობდა წუთიერად, და, როცა ამ წამმა გაიარა, დაფიქრდა იგი, შეგადარათ უწინდელს სასიძოებს და ახლა თავისი არჩევანი სანანურადა აქვს. გირჩევ, არ შეურიგდეთ კასსიოს ჯერ, დააკვირდით, რავდენად გამოესარჩლება დესდემონა მას და მგონი, დარწმუნდეთ, გღალატობსთ ცოლი, თუ არა».

ამ გვარად დესდემონას კეთილშობილური საქციელი, მისი კეთილი განზრახვა კასსიოსა და გენერლის შესახებ, იმ ბოროტმა იაგომ საზრა-

*) იხილე „დროება“ № 255.

ლად, დაკვირვებით შესწავლის შემდეგ. ჯერ ისევ ხელ-ნაწერმა თარგმანმა გამოიწვია არა თუ მარტო მურიეს წერილი, არამედ მეტად დალაგებული და ხელოვნებისა და პოეზიის ღრმად მცოდნე უცხოელის ბარონ სუტნერის წერილიც, დაბეჭდილი გაზ. „კავკაზის“ გუშინდელსავე ნომერში ფელეტონად. ეს ფელეტონი ჯერ არ გათავებულა და მალე მასაც გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

ი. მეუნარგიას თარგმანი, როგორც შევიტყეთ, ამ დღეებში გაეგზავნება მხატვარს ზიჩის სახელმძღვანელოდ იმ სურათების დახატვისათვის, რომელნიც უნდა „ვეფხვის-ტყაოსნის“ მდიდრულს გამოცემას ჩაერთოს. ფრანცუზულად ეს ხელ-ნაწერი გაზიფხულზედ იქნება დაბეჭდილი პარიჟში.

══ ჩვენა ვნახეთ ათონის მთიდამ მონაწერი წერილი, იქაურ ქართველ ბერისაგან ერთის თბილისელის სამღვდელო პირისადმი. ათონელი ბერი სჩივის იქაურის ქართველთ მონასტრისა და ბერების საშწუხარო მდგომარეობაზე, ბერძენ ბერებისაგან შევიწროებასა და დევნაზე. ამას წინად აქ პროფესორი ა. ცაგარელი იყო და პატრიარქმა დეპეშით აცნობა, ბერძნების ბერების წინამძღვარს, — არა უჩვენოთ-რა ამას «იველიის» მონასტრის დიდებათაგანაო. მართლაც არა უჩვენეს-რა და ცაგარელმაც დაამცირა ჟყან გამგზავრება. სხვათა შორის ბერი ამბობს, რომ მანდ ჰყავთ ბძათ აგენტი, რომელიც ყველაფერს ატყობინებს ჩვენის ქვეყნის მდგომარეობაზე და ურჩევს ამათ, მარჯვედ იყვნენ, რადგან ქართველებს არაფერი არ შეუძლიანთო.

══ „იურიდიულ მიმოხილვის“ მე-191 ნომერში ჩვენ ვნახეთ სიტყვა, თქმული ნაფიცის ვექილის ფრენკელისაგან „იურიდიულის საზოგადოების“ კრებაზე, ნოემბრის 20 სამოსამართლო წესდებათა შემოღების შემდეგ 20 წლის გასვლის გამო. ამ სიტყვაში ჩვენს ყურადღებას იქცევს განსაკუთრებით ის ალაგი, სადაც ფრენკელი ამტკიცებს აუცილებელს საჭიროებას ამ „წესდებათა“ შემოღებისას კავკასიაში სრულად და გამოუკლებლივ „ნაფიცთა მსაჯულთა“ ინსტიტუტითურთ. როგორც მკითხველებმა იციან, „სამოსამართლო წესდებანი“ სრულიად არ იქმნენ შემოღებულნი იმისათვის, რომ კავკასია წარმოდგენილი ჰქონდათ იმ გვარ ქვეყნად, რომელშიაც განსაკუთრებულნი გარემოება და ვითარება ჰსუფევს. დღეს, ადმინისტრატიულად კავკასია სრულიად შეუერთდა რუსეთს და, ფრენკელის აზრით, აღარა უნდა უშლიდეს-რა, რომ სამოსამართლო რეფორმების მხრივაც სრული შეერთება მოხდეს კავკასიისა რუსეთთან.

„საზოგადოდ რომ ვსთქვათ — ამბობს ფრენკელი — დაწესებულება ნაფიცთა მსაჯულთა საუკეთესო დაწესებულებაა და განაჩენი მათი ყოვლად სამართლიანი განაჩენია... ამ დაწესებულების შემოღებით გაუქმდებოდა მეორე ინსტანციის (სამოსამ. პალატა) არსებობა იმ გვარ საქმეთათვის, რომელთაც მოსდევს უფლებათა ჩამორთმევა, რადგანაც ეს ინსტანცია წერილებრივის საქმეთა - წარმოებითურთ უარ-ყოფაა „სამოსამართლო წესდებათა“ აზრისა და მიმართულებისაო“.

„ამას გარდა ნაფიცთა მსაჯულთა სამოსამართლო შეასუსტებდა იმ გვარის სენის გავრცელებას, როგორტ ცრუ-მოწმობა. თუ ცრუ-მოწმეს შეუძლიან მოატყუოს მოსამართლე, რომელიც მოქმედობს თარჯიმანების შემწეობით, და რომელმაც ადგილობრივი ენები არ იცის, იქ, სადა ხალხისაგან არჩეულნი მსაჯულნი ისხდებიან, ძნელი იქნება იმისთვის ტყუილის ლაპარაკი და უფრო მომეტებულად მოტყუება თავისი სისხლისა და ხორცისა.

„ამისთვის უნდა აღიარებულ იქმნას, რომ ფრიად სასურველია შემოიღონ ნაფიცთა მსაჯულთა სასამართლო კავკასიაში. ეს საქმე ცოტაოდენს დაბრკოლებას მხოლოდ იმითი თუ წარმოადგენს, რომ მცხოვრებნი სხვა და სხვა ტომისანი არიან აქ. ზოგიერთნი ფიქრობენ, მაგ., რომ მთელი ეს მხარე შეიძლება გაიყოს რამდენსამე თემად, რომელშიაც თვითოეული ერთაგანია დაბინადრებული, ზოგში — ორ-ორი, ზოგში — სამ-სამი. ქალაქებში თითქმის ყველანი რუსულად ლაპარაკობენ. ყოველ - შემთხვევაში, თუ კი ეს საგანი პრინციპიალურად მოწონებულ იქმნა, ყოველივე დანარჩენი დროსა და კანონ-მდებლობის ტეხნიკის საქმეა“.

ფრენკელს დაუბოლოვებია თავისი სიტყვა იმ სურვილით, რომ „იურიდიული საზოგადოება ეცადოს ადგილობრივ ვითარების შესწავლით, ზნეთა და ჩვეულებათა დაკვირვებით და იმ გარემოებათა გამოძიებით, რომელნიც ამტკიცებენ კავკასიაში იმპერატორის ალექსანდრე მე-II-ის წესდებათა სრულიად და უნაკლულოდ შემოღების საჭიროებას, აჩქაროს ეს საქმე და მით მტკიცე საფუძველი მისცეს ქვეყნის მომავალს მოქალაქობრივს წარმატებას, მშვიდობიანობასა და კეთილ-დღეობის დამყარებას.

══ ამას წინად სოფ. მუხრანში ერთი გლეხი შეპარულა ღამით თ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის მარანში, მოუხდია დიდი ქვევრი და, რაც ძალი და ღონე ჰქონია, დასწაფებია ღვინოს. ახალ-ნახადი ცეცხლივით მოსდებია უბედურს, ისე რომ გონება სულ დაჰკარგვია. დილაზის დროს, ეტყობა ან თავი ველარ აუტანია, ან ფეხი დასხლეტია — ჩავარდნილა უზარმაზარ ქვევრში და დამლერჩალა. («ნოვ. ობოზ.»)

══ ერთს ამერიკელს შეუკვეთია ერთის სავაჭრო ფირმისათვის სმირნაში ოთხას-ოცი-ათასის მანათის ხალიჩები და სპარსული ხალებიი. ამერიკელებსვე უნახავთ სტამბოლში ნუხური ხალიჩები მამედოვების სავაჭრო სახლში.

ლო ქალის დასაღუპავად მიჰმართა და უმანკო ქალის გულკეთილობისაგან წყეულმა სულდგმულმა მოქსოვა სისხლის ბადე, რომელშიაც უნდა გაეხვია საბრალო მსხვერპლი. თვით მან ურჩია კასსიოს, დესდემონას სთხოვე, გენერალს შეგარიგოსო და აი, ახლა კი ესვე უპირებს სამარე გაუთხაროს პატიოსან ქალს.

იაგომ თავისი ლაპარაკი ასე დაასრულა: „გენერალო, თქვენს მეულლეს ნურაფერს საჯელს ნუ მიაყენებთ, ვიდრე მტკიცე და ნამდვილი მიზეზი არ იგდოთ ხელში“. ოტელლომაც აღთქმა მისცა, მაგრამ ამ წამიდამ ოტელლოს მოსვენებით ძილი აღარა ჰქონდა: აღარც ხაშხაში და აღარც მანდრაკორი აღარ მოქმედობდენ მასზე. არაფერმა ძილის წამალმა აღარ დაუბრუნა წარსული ღამეების ტკბილი ძილი და მოსვენება. ყოველივე საქმის კეთება ეზიზღებოდა. სამხედრო ვარჯიში ხომ მისი გულის მალამო იყო და ახლა ესეც შესძულდა. ლაშქარი, სამხედრო დროშა და იარაღები, საყვირი და დაფდაფი, მხედართა ცხენის ფთხვენა-ჭიხვინი წინედ მის გულს აამგერებდენ ხოლმე, მის თვილებიდამ სიმამაცის ცეცხლს აფრქვევინებდენ და ოტელლო ამ სურათის დანახვის დროს, სიხარულით ცას ეწეოდა. ბრძოლის ველზე გასვლა მისთვის ისე სასიამოვნო იყო, როგორც არშიყი და ფეხ-მარდი კავალერისათვის სასიამოვნოა ცეკვა და სრიალი მარმარილოთი მოგებულს იატაკზე.

ახლა ოტელლომ დაჰკარგა სიმამაცე, სიმარჯვე, გულადობა და ამაყობა, რომელნიც ყოველი მხედრისათვის მიუცილებელს შვენებას შეადგენენ. ყოველი მხიარულობა გულიდამ ამოირეცხა ამ წამიდამ. ხან ამას ფიქრობდა, ვაი, თუ ცოლმა მიღალატაო, ხან სრულიად უმანკოდ რაცხდა მას, ხან იაგოს პატიოსნებაზე ეჭვიანობდა, ხან უპატიოსნეს კაცად მიაჩნდა, ხან გულში განიზრახავდა ხოლმე: «ნეტავ სრულიად არა გამეგონა-რა ამ საქმისა და ან კი რას გავიგებდი, რომ იაგოს არ ჩამოეარაკებინაო! არა მეცოდინებოდა-რა და უფრო დაწყნარებული ვიქმნებოდიო», ერთხელ ველარ მოითმინა; ეჭვიანობამ თავისი ძალა გამოიჩინა: იაგოს კისერში ხელები წაუჭირა და გაათრთებულად უბძანა: ამა დაამტკიცე, რომ ჩემი ცოლი მღალატობს, თორემ სულს ამოგაძრობ, ხმის ამოუღებლად დაგახრჩობო.

ჯერ იაგომ თავ-მოკატუნებით მოახსენა გენერალს: ვაი, ჩემს უბედურებას, რომ ჩემს პატიოსნებას ბიწიერებად მიიჩნიეთო და მერმე ჰკითხა: — თქვენი ცხვირ-სახოცი, რომელზედაც მარწყვის სახეა მოქარგული, თქვენი ცოლის ხელში ხომ არ დაგინახავსთ ამ ცოტას ხანშიო.

— ეგ ცხვირსახოცი მე თითონ მივეცი დესდემონას, ეგ არის ჩემგან პირველად მიცემული საჩუქარი.

— აი, ნამდვილ ეგ ცხვირსახოცი ეჭირა ხელში კასსიოს, იმითი პირს იწმენდდა იგი.

— თუ ეგ მართალია, სთქვა ოტელლომ, საშინლად უნდა გარდავუხადო დესდემონას. ეგ ცალიერი სიტყვები არ გეგონოს. სამი დღე, სამი, ჩემო იაგო და კასსიოსაც ამ სოფელს გამოვათხოვებ. სამი დღე არ გაივლის, რომ შენ თითონ მნახავ: კასსიო გაჰქრა დედა-მიწის ზურგზე!!. რაიცა შეეხება იმ მშვენიერს ბოროტ არსებას, მისთვის მე გამოვსძებნი უუტკბესს სასიკვდილო საშუალებას.

სრულიად უსაფუძვლო გარემოება, სრულიად უმნიშვნელო შემთხვევა საკმარისი იყო ეჭვიანი ქმრისათვის თავის ეჭვის დასამტკიცებლად. რა კი კასსიოს ხელში ცხვირსახოცს დაინახავდა ოტელლოს სასიკვდინე განჩინება უნდა წაეკითხა ორივესათვის, მის გამოუძიებლად, თუ როგორ მოხდა, რომ კასსიოს დესდემონას ცხვირსახოცი ჩაუვარდა ხელში.

დესდემონას არასოდეს არაფერი არ უჩუქებია კასსიოსათვის და ისეთი პატიოსანი და ქმრის ერთგული ცოლი ისე როგორ გაგიჟდებოდა, ქმრის პირველი საჩუქარი კასსიოსათვის ებოძებინა. დესდემონაც და კასსიოც, ორივე უბრალონი იყვნენ ოტელლოს წინაშე, მაგრამ მცბიერმა იაგომ, რომლის გულშიც დაუძინებელი ბოროტება მძვინვარებდა, უბრძანა თავის ერთგულს, მაგრამ უგუნურს ცოლს, რომ დესდემონასათვის ცხვირსახოცი მოეპარა იმ მიზეზით, რომ ვითომც თავის ცხვირსახოცზე იმ გვარივე სახე ამოექარგა; ნამდვილად კი ეს ცხვირსახოცი გზაზე უნდა დაეგდოთ, სადაც კასსიო გაივლიდა და, რაღა კითხი უნდა, აიღებდა კიდეც; აი, ამითი დაასრულებდა იაგო მოხსენებულ გმირთა გასაბმელად სასიკვდილო ბადის მოქსოვას.

ამ დროს, როცა ცხვირსახოცი კასსიოს ხელად იყო, შეხვდა ოტელლო დესდემონას და უთხრა: «სურდო მჭირს, ცხვირსახოცი მათხოვეო». დესდემონამაც მიაწოდა. „ეგ არა“, უპასუხა ოტელლომ, „ის ის, რომელიც მე შენ გაჩუქე“. დესდემონამ, რასაკვირველია ვერ იპოვა იგი. „დესდემონა, ცუდი გიქმნია, უთხრა ოტელლომ, რომ პირველი სიყვარულის მოწმად ნაჩუქარი ცხვირსახოცი დაგიკარგავს. და ეგეც რომ არ იყოს, ის ცხვირსახოცი სხვაფრივაც შესანიშნავი რამ იყო: იგი დედა-ჩემმა მიიღო საჩუქრად ჯადოსანი ქალისაგან, რომელიც სოოცარი გულთმისანი იყო. მას ეთქვა დედიჩემისათვის: „ვიდრე ეგ ცხვირსახოცი შენს ხელში იქმნება, შენს ქმარს შენზე უკეთესი არა ეყოლება-რაო და, თუ დაჰკარგე, ან აჩუქე ვისმე, ქმარი იმოდენად შეგიძულებს, რამდენადაც წინედ უყვარდიო“. სიკვდილის დღეს ეგ ცხვირსახოცი მე გარდმომცა და მითხრა, საცოლესათვის მეჩუქებინა. მეც დედის ნაანდერძევი აღვასრულე. გესმის, დესდემონა!.. გაუფრთხილდი იმ ცხვირსახოცს! — „განა ეგ შესაძლებელია“? წამოიყვირა დესდემონამ. — ეგ ჭეშმარიტებაა, ჩამოართვა სიტყვა ოტელლომ; მოჯადოებული ცხვირსახოცია, იგი მოჰქარგა ორას-წლოვანმა სიბილამ, როცა ზეგარდმო ძალთაგან წინასწარმეტყველურ განზრახვაში იყო; სადმროთო ჭიათა აბრეშუმისაგან არის ნაქსოვი და ქალწულ მუმიათა გულისაგან ამოღებული წყლით სხურებულიო“.

გაიგო თუ არა დესდემონამ, რომ ცხვირსახოცს სასწაულთ მომქმედი თვისებანი ჰქონია, კინაღამ შიშით სული ამოხდა: „ვაი, თუ დავკარგე ისეთი ნივთი, რომლის დაკარგვითა ქმრის სიყვარული სიძულვილად უნდა გადიქცესო, იფიქრა საბრალო ქალმა.

ლისა შემახიიდამ. ამ სავაჭრო სახლს სტამბოლში გაუხსნია განყოფილება და მოკლეს ხანში 25,000 ცალი თავისივე ნაქსოვი კავკასიური ხალიჩა გაუსაღებია. ნაზი და მოხდენილი ქსოვილი ჩვენებურის ხალიჩებისა ისე მოსწონებიათ ამერიკელებს, რომ დიდძალი სხვა-და-სხვა ღირსებისა დაფასების ხალიჩები შეუკვეთნიათ მამედოვების სავაჭრო სახლისათვის.

თავად ძვირი იყო ჩვენში ამ გვარი ხალები და ხალიჩები და ახლა უფრო, ვგონებთ, მამასისხლად დაიწყონ მისი ყიდვა კავკასიელმა ვაჭრებმა.

== გუშინ, დილის 7 საათზე „კავკაზის“ სასტუმროში თავი მოიკლა ვიღაც ქრიუკოვმა. ეს ქრიუკოვი ადრე სამხედრო სამსახურში ყოფილა და ამ უკანასკნელს ხანებში ვიღაც ქოხანოვის მამულს მართავდაო.

თავის მოკვლას სულით ავადმყოფობას აბრალებენ.

უცხოეთი.

ინგლისი. დიდი განხეთქილება ინგლისის მთავრობასა და ლორდთა პალატის შუა, რომელიც ასტყდა ამორჩევითი ცვლილების გამო დღეს დაცხრა. — მთავრობა და პალატა შეთანხმდენ, მორიგდენ ერთმანეთ შორის და ამ მორიგებას მოჰყვა ის კეთილი შედეგი, რომ ინგლისის პარლამენტი ამიერიდამ ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობაა. ამ სახით დღეს დაგვირგვინდა ინგლისის პირველის მინისტრის გლადსტონის მოღვაწეობა ლიბერალურს ცვლილებათა აღსადგენად ინგლისში.

ინგლისური გაზეთი ,,ტაიმსი“ ბისმარკის უკანასკნელის სიტყვის გამო ამბობს: ,,დედა-მიწის ზურგზე, გერმანიის გარდა, არ მოიძებნება ერთი ქვეყანა, სადაც სახელმწიფოს საქმეთა გამგეს, სახელმწიფო კაცს, გაებედნოს ესეთის სიტყვით მიმართვა პარლამენტისადმი, როგორითაც თ. ბისმარკმა მიმართა გერმანიის რეიხსტაგს, და ამ სიტყვას დიდი აყალმაყალი არ გამოეწვიოს. ბისმარკი ამ გვარის სიტყვებით სტუქსავს, გვემავს გერმანიისა და პრუსიის პარლამენტებს და პარლამენტები ისე გულ-გრილად ითმენენ მას, როგორადაც ყველა უცხო კაცი ამ სიტყვების გარდაკითხვას ითმენს ხოლმე.

ესპანია. თუმცა ესპანიის ოფიციალური გაზეთები სცდილობენ ყოველის ღონით, რაც შეიძლება მცირე მნიშვნელობა მისცენ ამ ხანებში მომხდარს სტუდენტების არეულობას მადრიდში, მაგრამ საზღვარს გარეთ მიღებული დეპეშები სულ სხვას ამტკიცებენ. ლიბერალური და კონსერვატიული პროფესორები, რომელნიც წინააღუდგენ პოლიციის შესვლას უნივერსიტეტში, უსათუოდ თხოულობენ, რომ საჩივარი დაიწყოს მმართებლობაზე, თუ რომ სასულიერო საქმეთა მინისტრი არ დააკმაყოფილებს მათ. სტუდენტები უარს ამბობენ ლექციების მოსმენაზე და მღელვარება თავს იჩენს პროვინციალურს უნივერსიტეტებშიაც. ცენზურა ერთს ნამდვილს ამბავს არ უშვებს. უკანასკნელ ხანებში, მადრიდში, დედა ქალაქში ესპანიისა, 46 გაზეთი მიეცა სამართალში. მღელვარება თან-და თან ზვიადდება და ადვილად შეიძლება ერთობ ცუდი შედეგი მოჰყვეს მას. კარგი დრო ეხლა დაგვიდგაო, ჰფიქრობს რესპუბლიკური დასი. ნუ გავუშვებთ ხელიდამ ამ დროს. ვიხელმძღვანელოთ ამ გარემოებით ჩვენის აზრების გატარებისათვისაო.

ესპანია. ხოლერა ესპანიასაც ეწვია. მთავრობა დაფაცურდა — კარანტინებს აგებენ, რომ დედა-ქალაქ მადრიდიდამ და ტოლედოდამ სხვა ქალაქებშიაც არ გავრცელდეს ეს სენი. ესპანიის სატახტო ქალაქს მადრიდში ამ მოკლეს ხანში მოხდა ერთი შემთხვევა, რომელმაც თითქმის მთელი ევროპა აალაპარაკა. ეს გახლავთ სტუდენტების არეულობა, რომელსაც ერთობ სამწუხარო შედეგი მოჰყვა. პოლიცია მეტად უმართებულოდ მოიქცა ამ შემთხვევაში. ქუჩაში მოგროვილს სტუდენტებსა სთხოვა პოლიციამ გაფანტულიყვენ და როდესაც ამათ არ ასრულეს ეს წინადადება, დაერია მათ მირეკა ცემა-ტყეპით უნივერსიტეტამდე და შემდეგ შიგ უნივერსიტეტშიაც შეჰყვა. აქ სცემეს რექტორს და ორს პროფესორს, რომელნიც სტუდენტებს გამოესარჩლენ. სცემეს მხოლოდ იმიტომ, რომ რექტორმა გაბედა განეცხადა თვისნი კანონიერნი უფლებანი უნივერსიტეტის დარბაზში, სადაც არავითარი მოქმედების ნება არა აქვს პოლიციასო. რექტორმა მაშინვე შეიტანა სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი. ამ არეულობის გამო ასამდე კაცია დატყვევებული, მათ შორის ორი პროფესორი. 30 კაცი დაჭრილია.

ოსმალეთი. ოსმალურის გაზეთის „თარიღ“-ის სიტყვით ოსმალეთის ერის ზრუნვის უმთავრესს საგანს შეადგენს „ოსმალთა აკადემიის“ დაარსებაო. ოსმალეთის ენა ძალიან საჭიროებს შემუშავებას, და მხოლოდ შემუშავების შემდეგ არ დააბრკოლებს იგი მეცნიერებისა და ცოდნის გავრცელებას. აკადემიის დაფუძნებას ოსმალეთის ერისათვის წმინდა ეროვნული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და, აი, ამისათვის ჯერ ისევ წინანდელი დიდი ვეზირი რეშიდ-ფაშა ისე გამუდმებით ითხოვდა მის დაარსებას. აკადემიის დაარსების აზრი ძლიერ თურმე მოსწონს ხვანთქარს და მოწინავე ოსმალოებს.

ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ნოემბრის 27.

პეტერბურგი. დღეს დაიწყო საქმე პოდპოლკოვნიკის მირონოვიჩისა; მას ბრალდება მკვლელობა 13 წლის ებრაელის ქალის სარა

მაშინ ოტელლოც ათრთოლდა, თითქო რაღაც საშინელი საქმის ასრულებას ემზადებოდა და განმეორებით ჰკითხა ცხვირსახოცის შესახებ, მაგრამ რადგანაც დესდემონას არ შეეძლო საწადელი პასუხის მიცემა, ხუმრობა დაუწყო, იქნება შავი ფიქრები ავაშორო საყვარელს ქმარსა და უთხრა: ,,ცხვირსახოცი სრულიად უბრალო მიზეზია, გინდა, რომ კასსიოზე აღარა გითხრა-რა“. ამ სიტყვებმა მთლად ცეცხლი მოსდო გაფთრებულ ოტელლოს და თოფ-ნაკრავი ლომივით გამოვარდა ოთახიდამ. ახლა შეატყო უბედურმა დესდემონამ, რომ მისი ქმარი ეჭვს შეეპყრო.

რამდენი იფიქრა დესდემონამ, მაგრამ სრულიად ვერაფერი საფუძველი ვერ მოიგონა, რომელზედაც ოტელლოს შესძლებოდა თავისი ეჭვის დამყარება; ბოლოს ის დაასკვნა, რომ ალბად ვენეციიდამ ცუდი რამ ამბავი მიუღია და მითი არის ძლიერ გაჯავრებული, თორემ ასე უეცრად ჩემი ქმრის ნაზს ალერსს რა შესცვლიდა მძვინვარებაზედაო? რა ვუყოთ — კაცები განა ღმერთები არიან, რომ ისეთი ალერსი მოვითხოვოთ მათგან ყოველთვის, როგორც ქორწინების დღესაო, ანუგეშებდა თავს საბრალო დესდემონა. მაგრამ ოტელლოსთან მეორედ შეხვედრამ სრულიად წინააღმდეგი სურათი გაუშალა მას წინ: ოტელლომ ცხადად დააბრალა დესდემონას ღალატი: „შენ გიყვარს სხვა კაცი», წამოიყვირა მავრმა და მორთო ხმა-მაღალი ტირილი. «ოხ! რა საშინელი დღე დამიდგა! «რაზედა სტირი შენ?» — შეჰკივლა დესდემონამ. ოტელლომ ტირილით უპასუხა: „თუ ზეცას უნდოდა განსაცდელში ჩავეგდე, რატომ სხვა სასჯელი არ მომაყენა? მე მოვითმენდი სიღარიბეს, სიგლახაკეს, ტყვეობას, ყოველს გვარს დამცირებას, მაგრამ ცოლის ღალატმა გული შხამით ამივსო. მშვენიერების ღმერთად მიმაჩნდა და ახლა ვნატრობ, რომ ქვეყანაზე არ არსებობდეს!“ როცა ოტელლო გაბრუნდა, საბრალო ქალი ისე გარეტდა უსამართლო ბრალდების გამო, რომ რაღაც გასაოცარი ძილი მოუვიდა, პირფარეშს უბძანა ლოგინი გაეშალა და ზედ მისი საქორწინე ხალათი გადაეფინა. დესდემონა მისუსტებული ლაპარაკობდა: «როცა მამა თავის შვილს უსაყვედურებს, კი არ ლანძღავს მას, ალერსიანად არიგებს», — ოტელლოც ეგრე უნდა მოქცეულიყო, რადგანაც მე მასთან შედარებით ბავშვი ვარ.» ეგ იყო მხოლოდ მისი გულის საჩივარი, მეტი არა უთქვამს-რა უმანკო ცოლს.

დესდემონა დასაძინებლად წავიდა, სადაც ქმარს მოელოდა, მაგრამ ბევრი ველარ მოიცადა, რადგანაც ღრმა აღელვების გამო ძილი უეცრივ მოერია. ამ დროს ოთახში შემოვიდა ოტელლო თავისი სასტიკი და საშინელი განზრახვის ასასრულებლად: მას უნდოდა დესდემონა მოეკლა. ოტელლომ, მძინარე ცოლი რომ დაინახა, შეჩერდა, — არ უნდოდა მისი სისხლის დაქცევა და თოვლზე უსპეტაკესი და მარმარილოსზე უწმინდესი კანის გაფხაჭნა, მაგრამ, რომ უნდა მოეკლა, — ეგ უეჭველი იყო. „რომ არ მოვკლა, ხომ ბევრ სხვასაც აგრე მოატყუებს, როგორც მე“, წამოიძახა ოტელლომ და ერთი ისეთი აკოცა, რომ ამ კოცნაზე უტკბესი და თან ასეთი სასიკვდილო კოცნა არავის ლაწვს არ გამოუცდია ქვეყანაზე; მაგრამ ერთხელ კიდევ შეჰღრიალა. კოცნამ და ყვირილმა გამოაღვიძა დესდემონა. შეჰხედა თავის ქმარს და შენიშნა რომ იგი თრთოდა და თვალებში ცეცხლი ენთებოდა; მან იგრძნო, რომ ეს გარემოება კარგს არას მოასწავებდა. ოტელლომ უბრძანა საბრალოს, რომ ზადებულიყო სასიკვდილოდ; ილოცე, — უთხრა; მე არ მინდა სულითაც წაწყმდეო. დესდემონა შეეხვეწა, ნუ მომკლავო და სთხოვა — მიზეზი მაინც ეთქვა, რაში მიაჩნდა დამნაშავედ. ოტელომ მიზეზად კასსიო დაასახელა და შესძახა: «შენ იმას მიეცი ცხვირსახოცი!» საწყალს ქალს თავის გამართლება უნდოდა, მაგრამ გონება დაკარგულმა ოტელლომ აღარაფერი აღარ შეისმინა, დააფარა ბალიში პირზე და ვიდრე არ დაახრჩო, აღარ მოაშორა.

ამ დროს კასსიო სისხლში ამოსვრილი და დაჭრილი ოტელლოს სახლში შემოათრიეს. იაგოს ვიღაც თავის ნაცნობისთვის მიენდო კასსიოს მოკვლა, მაგრამ, რადგანაც ეს ვერ შესრულებულიყო, იაგოს ნაცნობივე მოეკლა, ეგებ საიდუმლო არ გამოაშკარავდესო. ამ კაცის ჯიბეში ნახეს წიგნები, რომელნიც კასსიოს სრულიად ამართლებდენ და იაგოს კი ამტყუნებდენ. კასსიომ ახლა შენდობა სთხოვა ოტელლოს და ამასთანავე გამოჰკითხა, თუ რისთვის უჯავრდებოდა ოტელლო და რისთვის უბრძანა იაგოს მისი მოკვლა. ამ გარემოებამ თავზარი დასცა ოტელლოს: ახლა გამოაშკარავდა, რომ იგი არის საზიზღარი მკვლელი, რომ მისი ცოლი სრულიად არ ყოფილა დამნაშავე და მოღალატე. საშინელს სასოწარკვეთილებას მიეცა საბრალო, მოსძულდა სიცოცხლე, ამოიღო მახვილი, გადაეგო ზედ და დააკვდა თავისივე ხელით უმიზეზოდ მოკლულს უმანკო ცოლს.

ამ სისხლის ღვრის სურათმა გააშტერა ყველა იქ მყოფი, განსაკუთრებით უფრო იმიტომ რომ ოტელლო პატივცემულ გვამად ირიცხებოდა და კეთილი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი ქვეშევრდომთა შორის. იგი იმდენად კეთილშობილი ბუნებისა იყო, რომ წარმოდგენაც კი არ შეეძლო, თუ კაცის ბუნება ისეთს საზიზღრობას ჩაიდენდა, როგორიც ჩაიდინა იაგომ. იგი იყო მოყვარული და დანდობილი მეუღლე და უყვარდა თავის გულის მეგობარი ვნებით და გადაჭარბებით. მისი თვალიდამ უბრალოდ, არ გადმოვარდებოდა ცრემლი, მაგრამ, როცა თავისი შეცდომილება შეიტყო, თვალთაგან მწარე ცრემლები გადმოაფრქვია. სიკვდილის შემდეგ ნაცნობებს მუდამ ახსოვდათ იგი და მოიგონებდენ ხოლმე მის კეთილ საქმეებს. მისი ადგილის მემკვიდრეს კასსიოს უნდა გამოეგონა ახლა უსაშინელესი სასჯელი იაგოსათვის და მართლა კანონის ძალით უსასტიკესის სასჯელით დასაჯეს ბოროტი იაგო.

ს—ნ ყ—ნი

ბეკერისა, რომელიც იმის გამსესხებელ კანტორაში მსახურებდა. მირონოვიჩს ბრალდება, რომ მან მოჰკლა იგი იმ დროს, როცა ძალით მოინდომა მისი გაუპატიურება. საქმეშივეა ჩარეული აზნაურის ქალი სემიონოვისა, რომელმაც პირველად თავად იტვირთა სარას მკვლელობა და რომელსაც ეხლა ბრალდება დაფარვა დანაშაულობისა. პორუჩიკი ბეზაკიც ურევია ამ საქმეში, როგორც თანა-მონაწილე სემიონოვის ქალისა.

ნოემბრის 28.

მოსკოვი. სასამართლომ ახსნა, რომ სკოპინის ბანკის მოქმედება ერთხელაც არ შემოწმებულა და რომ 1869 წელსავე აღმოჩნდა ზარალი; 1877 წელს მოსალოდნელი იყო გაკოტრება, მაგრამ ნაძალადევ ოპერაციების წყალობით არ შესწყდა ბანკის წარმოება.

პარიჟი. ფერის მექარის გამო, რომ სამსახურიდამ გამოვა, პალატამ ჟარ-ჰყო ფლოკეს წინადადება სენატორების საზოგადო ხმის მიცემით ამორჩევის შესახებ და მიიღო სენატის წინადადება.

განცხადებანი

ქ. გორში.

დავიწყე ღლეიდგან საქმის წარმოება. ყველა მსურველთ გავუყიდი სწრაფად მაზანდაზედ ყოველს მათს მიწის ნაწარმოებს, პირუტყვს, საქონელს და მატყლს. ვუყიდი ყველა ნაირს საკაჭროს გამოგზავნილის სიგბით, აგრეთვე გამოვუწერ როგორც რუსეთიდამ, ისრე სამზღვარ გარეთიდამ ყველანაირ საკაჭროს, მანეთში $20_0/^0$ წინ მიღებით ბეთ გასაგზავნად ფაბრიკის პატრონებთან, დანარჩენს ფულს მივიღებ საქონლის ჩაბარების დროს. ვიღებთ იჯარით სახლების სამხატვროს (სამალიარო) საქმეს და შპალერების გაკვრას გორის მაზრაში ყველგან, ამავე ნაირად სადაც რკინის გზაზედ მატარებელი ჩაუვლის ერთ ვერსამდინ ბაქოდან ფოთამდე და ბათუმამდე.

იანვრის პირველს 1885 წელს დავიწყებ გასყიდვას პარტიობით და წვრილადაც ზეთით გალესილ კრაკებს, კისტებს, ყველა ნაირ ლაკს მოხარშულ ზეთს და მშრალი კრასკებისას. ფასები წვრილებთაც შეიძლება ვაცნობო მუშტარს.

კამისიას ავიღებ საკაჭროებისთვის 50 მანეთამდე, მანეთზედ 3 კაპ. 100 მანეთამდე მანეთზედ 2 კაპ. 500 მანეთამდინ—თითო კაპ. და ზემოდ ნაკლებს მორიგებისამებრ. მივიღებ და გავგზავნი ყოველგან საქონლებს ხარჯ. გარდა ფუთს ერთის კაპეიკის. კამისიით ფულიან პაკეტებს, წიგნებს ტელეგრამას, განცხადებას მივიღებ და გავგზავნი კუთვნილებისადმი უკამისიოდ; ჭირნახულებისთვის და სამალიარო წამლებისთვის იქნება ბინა. თ. ბეგთაბეგოვების შენობაში, ფრანგების ეკლესიის ახლო და სამწერლო სახლი თ. ნიკოლოოზ ღიასამიძის შენობაში დიდ სახემწიფო ქუჩაზედ.

ხელმო თუთაევი.

(12—4)

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა.

საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე 18 § ძალით, 29 დეკემბერს ამა 1884 წლისა, დილის 12 საათზე, ქ. ტფილისს, ტფილისის თავად აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის სადგომზე, საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან დაგირავებულნი ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკში უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, რადგანაც მათ წესდებისამებრ ბანკის სახვედრო გადასახადი არ შეუვსიათ.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად ბანკის წესდების მე 19 §-ისა შეავსებენ ბანკის გადასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნი ფულიდამ ზედ დამატებით სხვა და სხვა შეუვსებელის გადასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშნვაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს. ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა ამავე ბანკის გირავოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთზე და აგრეთვე შეიძლება გადატანილი იქმნეს მყიდველზე; ხოლო ვალზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნეს ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურსთ, მათ შეუძლიათ გასასყიდელთ მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შედგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძვლით დაიწყება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 15 იანვარს მომავლის 1885 წლისა.

$18^{7}/_{12}$ წლიანნი სესხნი.

ქ. თბილისს.

მელიქოვისა, ანნა ივანეს ასულის: პირველ განყოფილებაში, მეორე ნაწილში, ბალის ქუჩაზე სამ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 204 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 24,841 მან. 27 კაპ., შესავს. გადასახ. 2,686 მან. 4 კაპ.—სულ 27,527 მან. 31 კაპ.

მემკვიდრეთა მირზოევისა, ივანე მინას ძის: პირველ განყოფილებაში, მესამე ნაწილში, მიხაილის ხიდთან, ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ქვითკირის დუქნები და მიწა, 758 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 99,364 მან. 98 კაპ., შესავს. გადასახ. 10,750 მან. 13 კაპ.—სულ 110,115 მან. 11 კაპ.

მათივე: პირველ განყოფილებაში, მესამე ნაწილში, მიხაილის ხიდთან, ქვითკირის დუქნები და მიწა 1259 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 107,645 მან. 44 კაპ., შესავს. გადასახ. 13,060 მან. 09 კაპ.—სულ 120,705 მან. 53 კაპ.

მათივე: პირველ განყოფილებაში, მესამე ნაწილში. მიხაილის ხიდთან, სამ ეტაჟიანი ქვითკირის დუქნები და მიწა, $243^{1}/_{2}$ კვადრ. საჟ; თავნი ვალი 107,645 მან. 44 კაპ., შესავს. გადასახ. 12,643 მან. 61 კაპ.—სულ 120,289 მან. 05 კაპ.

შადინოვისა, ალექსანდრე ივანეს ძის: პირველ განყოფილებაში, IV ნაწილში, ბანოვის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი—ერთი ოთხ ეტაჟიანი და მეორე ორ ეტაჟიანი და მიწა, 236 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 37,669 მან. 46 კაპ., შესავს. გადასახ. 3,764 მან. 88 კაპ.—სულ 41,434 მან. 34 კაპ:

მემკვიდრეთა შადინოვისა, მიხაილ ივანეს ძის: პირველ განყოფილებაში, მეოთხე ნაწილში, ველიამინოვის ქუჩაზე ორი ქვითკირის ორ ეტაჟიანი სახლი და მიწა, 236 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 16,952 მან. 38 კაპ., შესავს. გადასახ. 1,075 მან. 41 კაპ.—სულ 18,027 მან. 79 კაპ.

ზირათოვისა, ნინო ალექსანდრეს ასულის: 1 განყოფილებაში, 2 ნაწილში, ახალ-ბებუთოვის და კონსულის ქუჩებს შუა ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 108 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 19,471 მან. 38 კაპ., შესავს. 2038 მან. 40 კაპ.—სულ 21,509 მან. 78 კაპ.

ზაზაევისა, დავით ვასილის ძის: 2 განყოფილებაში, მე 6 ნაწილში ორი ქვითკირის ორ ეტაჟიანი სახლი მაღაზიებით და მიწა. 183 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 19,471 მან. 38 კაპ., შესავს. გადასახ. 1781 მან. 31 კაპ.—სულ 21,258 მან. 69 კაპ.

ნადიროვისა, ეკატერინე მიხაილის ასულის: მეორე განყოფილებაში მე 6 ნაწილში ელისაბედის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი და მიწა, 527 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 10,620 მან. 76 კაპ., შესავს. გადასახ. 643 მან. 41 კაპ.—სულ 11,264 მან. 17 კაპ.

ნადეჟდინისა, ნადეჟდა ალექსის ასულის: პირველ განყოფილებაში პირ ნაწილში, ჭავჭავაძის ქუჩაზე სამ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 231 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 22,126 მან. 60 კაპ., შესავს. გადასახ. 1333 მან.—სულ 23,459 მან. 60 კაპ.

ტერ-გრიგორიანცისა, ტერ-ოვანეს ტერ-ზაქარიას ძის, მღვდლისა: მეორე განყოფილებაში, მე 4 ნაწილში, ნიკოლაევის ქუჩაზე, ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 200 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 7257 მან. 51 კაპ., შესავს. გადასახ. 344 მან. 74 კაპ.—სულ 7602 მან. 25 კაპ.

შირიაევისა, ივანე მიხაილის ძის: მეორე განყოფილებაში, მე 8 ნაწილში, ჩუღურეთში ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 149 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 12,390 მან. 91 კაპ., შესავს. გადასახ. 1151 მან. 13 კაპ.—სულ 13,542 მან. 04 კაპ.

ბიჩიკოვისა, სალომე ტატოს ასულის: პირველ განყოფილებაში, პირველ ნაწილში, დავითის ეროვზე, ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 83 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3681 მან. 46 კაპ., შესავს. გადასახადი 320 მან. 72 კაპ.—სულ 4002 მან. 18 კაპ.

იოსელიანისა, იასონ სოფრომის ძის: მეორე განყოფილებაში, მეათე ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე. ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ბაღი და მიწა 2,212, 51 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 27,610 მან. 91 კაპ., შესავს. გადასახ. 2843 მან. 10 კაპ.—სულ 30,454 მან. 01 კაპ.

ორბელოვისა. ნინო ივანეს ასულის: პირველ განყოფილებაში, პირველ ნაწილში, ოლგას ქუჩაზე, სამ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 200 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 10,123 მან. 99 კაპ., შესავს. გადასახ. 475 მან. 93 კაპ.—სულ 10,599 მან. 92 კაპ.

$43^{1}/_{2}$ წლიანნი სესხნი.

ტფილისის გუბერნიის მისივე მაზრისა.

მაღალოვისა, დავით იოსების ძის: თელოვნის აგარს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 141 დესიატ. 1720 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1955 მან. 56 კაპ., შესავს. გადასახ. 151 მან. 17 კაპ.—სულ 2106 მან. 73 კაპ.

მაღალოვისა. სოფიო იოსების ასულის: თელოვნის აგარს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 153 დესიატ. 440 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2942 მან. 50 კაპ., შესავს. გადასახ. 190 მან. 39 კაპ.—სულ 3132 მან. 89 კაპ.

(3—3)

Доз. ценз. Тифлисъ, 28 Ноября 1884 г. სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.